ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
პროფესორ ირეოდიონ სურგულაძისადმი მიძღვნილი ყოველწლიური სტუდენტური ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია
კონფერენციის დებულება

1. ზოგადი დებულებები
1.1. პროფესორ ირეოდიონ სურგულაძისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციას (შემდგომში - კონფერენცია) ორგანიზებას უწევს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საარჩევნო სამართლისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომში - ინსტიტუტი).
1.2. კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სამართლის საბაკალავრო საფეხურის მე-2, მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტებს (შემდგომში - სტუდენტი/კონკურსანტი).
1.3. კონფერენციაზე მოქმედებს ორი სექცია:
1.3.1. I სექცია - პროფესორ ირეოდიონ სურგულაძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა (თემათიკა: ბიოგრაფიული ცნობები, პროფესორ სურგულაძის კონკრეტული სამეცნიერო ნაშრომის, ნაშრომების, ან დებულებების განხილვა);
1.3.2. II სექცია - სამართალი (თემატიკა: საკონსტიტუციო სამართალი, სამართლის ისტორია, სამართლის ფილოსოფია, სამართლის თეორია).
1.4. სტუდენტს უფლება აქვს საკონკურსოდ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი აირჩიოს 1.3. მუხლით განსაზღვრული თემატიკიდან.
1.5. კონფერენცია ტარდება ყოველწლიურად, დეკემბრის თვეში.

1.6. კონკურსანტმა ნაშრომის ელექტრონული ვერსია (წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სხვა დოკუმენტებთან ერთად) უნდა გამოაგზავნოს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: res.institute@tsu.ge.
2. კონკურსში მონაწილეობის კრიტერიუმები
2.1. საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომის/მოხსენების ავტორი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სტუდენტი.
2.2. სტუდენტმა საკონკურსოდ უნდა წარმოადგინოს შემდეგი მასალები:
2.2.1. საკონკურსო მოხსენება;
2.1.2. სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა;
2.2.3. უნივერსიტეტიდან ცნობა სტატუსის შესახებ.
2.3. სტუდენტის მიერ საკონსკურსოდ წარმოდგენილი მოხსენება უნდა იყოს ორიგინალური და სამეცნიერო ღირებულების მქონე. მოხსენება უნდა იყოს შესრულებული კონფერენციაზე პირველად წაკითხვის მიზნით. ნაშრომი არ უნდა იყოს მანამდე სხვა კონფერენციაზე წაკითხული ან გამოქვეყნებული. საკონკურსო მოხსენება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:
2.3.1. ნაშრომს უნდა ჰქონდეს სატიტულო ფურცელი, სადაც აღინიშნება: უნივერსიტეტის სახელწოდება, ფაკულტეტის სახელწოდება, უნივერსიტეტის ლოგო, ავტორის სახელი და გვარი, სტატუსი, თემის სახელწოდება, სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი (არსებობის შემთხვევაში აკადემიური თანამდებობდა), ადგილი (სადაც შესრულებულია ნაშრომი), წელი;
2.3.2. მოხსენების ძირითადი, ქართულენოვანი ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Sylfaen-ში - 11 ფონტში (სქოლიო იმავე ფონტის 10-იანი შრიფტით), ხოლო უცხოენოვანი ტექსტი კი - Times New Roman - 11 (სქოლიო იმავე ფონტის 10-იანი შრიფტით);
2.3.3. ძირითად ტექსტში ხაზებს შორის მანძილი უნდა იყოს 1,15, ხოლო სქოლიოს ტექსტში 1,0. აბზაცებს შორის მანძილი უნდა იყოს 0;
2.3.4. საკონკურსო ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის word-ის დოკუმენტში, მინდორი, ოთხივე მხრიდან უნდა იყოს 2-2-2-2;
2.2.5. აბზაცი უნდა იყოს 0,5 სანტიმეტრი, რომელიც შექმენით enter-ით და არა tab კლავიშით;
2.3.6. წარმოდგენილი სტატია უნდა იყოს მკაფიოდ სტრუქტურირებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). შესავალი და დასკვნა არ ინომრება, ხოლო ნაშრომის ძირითადი ნაწილი

სტრუქტურულად უნდა იქნეს ჩაშლილი: თავებად, ქვეთავებად და ა.შ. შესაბამისად დანომრილი: 1.; 1.1.; 1.2.; 1.2.1.; 1.2.2.; 1.3. და ა.შ.;
2.3.7. შენიშვნა (სქოლიო) უნდა განთავსდეს ყოველი გვერდის ბოლოში;
2.3.8. საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომის საორიენტაციო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 6000 (ექვსი ათასი) სიტყვას (სიტყვების ამ რაოდენობაში არ ჩაითვლება სატიტულო ფურცელი და ბიბლიოგრაფია).
2.3.9. გამოყენებული ლიტერატურის ავტორის გვარი და სახელის ინიციალი (ასევე მთარგმნელისა და რედაქტორის - არსებობის შემთხვევაში) დაწერეთ დახრილი ასოებით ანუ ე.წ. Italic და მუქი შრიფტით (ე.წ. Bold);
2.3.10. კონკურსანტმა გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიუთითოს დანართი №1-ით დადგენილი მოთხოვნების დაცვით;
2.3.11. ნაშრომს თან უნდა ახლდეს ბიბლიოგრაფიის სია;
2.3.12. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც Word-ის, ასევე, PDF ფორმატში.
2.4. კონკურსანტს უნდა ჰყავდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი. სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი. ერთი და იგივე პირი ერთდროულად შეიძლება იყოს მხოლოდ 2 (ორი) კონკურსანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. საკონკურსოდ წარმოდგენილ ნაშრომზე სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა უნდა შეიცავდეს:
2.4.1. დასაბუთებას საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალობის შესახებ;
2.4.2. მითითებას სიახლეზე, რომელიც წარმოადგენს ნაშრომის მთავარ ღირსებას;
2.4.3. მითითებას საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომის აკადემიური წერის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.
2.4.4. მითითებას სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსზე - დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ/სამეცნიერო ხარისხზე (არსებობის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე).
3. კონკურსის ეტაპები
კონკურსის ხორციელდება ორ ეტაპად:

ა. პირველი ეტაპი: სტუდენტის მიერ წარმოდგენილი წინამდებარე დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრული მოხსენების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ; კომისია გასცემს ან დადებით ან უარყოფით რეკომენდაციას. უარყოფითი რეკომენდაციის შემთხვევაში კონკურსანტი კონკურსის მეორე ეტაპზე ვერ გადადის;
ბ. მეორე ეტაპი: კონკურსანტი 15 წუთიანი ზეპირი პრეზენტაციით წარსდგება კონფერენციაზე საკონკურსო კომისიის წინაშე.
4. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა
4.1. საკონკურსო კომისია შედგება თავმჯდომარის, საპატიო თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და კომისიის წევრებისაგან.
4.2. საკონკურსო კომისია შედგება ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებისაგან და სამართლის (ანდა მომიჯნავე მეცნიერებების) სფეროში მოღვაწე მკვლევარებისაგან.
4.3. საკონკურსო კომისიას თავმჯდომარეობს ინსტიტუტის დირექტორი. კომისიას ჰყავს საპატიო თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო. საკონკურსო კომისიის მდივნისა და წევრების კანდიდატურას ამტკიცებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.
5. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთა შეფასება
5.1. საკონკურსო კომისია კონკურსის პირველ ეტაპზე, წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების (იხ. შეფასების ფურცელი - დანართი №2) საფუძველზე, აფასებს სტუდენტის მიერ წერილობითი სახით წარმოდგენილ ნაშრომს/მოხსენებას. ამ ეტაპზე ქულათა მაქსიმალური შეფასების ზედა ზღვარია - 60 (სამოცი) ქულა.
5.2. კონკურსის მეორე ეტაპზე საკონკურსო კომისია, წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, აფასებს სტუდენტის მოხსენების პრეზენტაციას. მეორე ეტაპზე ქულათა მაქსიმალური შეფასების ზედა ზღვარია - 40 (ორმოცი) ქულა.
5.3. კონკურსის ორივე ეტაპის შეფასებათა ჯამის საფუძველზე გამოვლინდებიან გამარჯვებულები.
5.4. კონკურსანტთა საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის მუშაობაში მონაწილეობის უფლების მქონე ყველა წევრის შეფასებების საშუალო არითმეტიკულით.
6. კონფერენციაში გამარჯვებულთა რანჟირება
6.1. კონფერენციაში მონაწილე კონკურსანტთაგან გამარჯვებულები გამოვლინდება 1-ლ, მე-2 და მე-3 ადგილებზე. თითო ადგილზე შეიძლება გავიდეს კონკურსში მონაწილე თითო მომხსენებელი.

6.2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლოა 6.1. პუნქტით განსაზღვრულ თითო ადგილზე გამოვლინდეს ორი გამარჯვებული. ასეთ შემთხვევაში, წინამდებარე დებულების 7.2. პუნქტით განსაზღვრული ჯოლდო შუაზე იყოფა კონკრეტულ ადგილზე გასულ ორ კონკურსანტს შორის.
7. კონფერენციაში მონაწილეთა დაჯილდოვება
7.1. კონკურსში მონაწილე მოხსენებების ავტორებს გადაეცემათ მონაწილეობის სერტიფიკატები.
7.2. 1-ლ ადგილზე გასული მომხსენებელი მიიღებს ფულად ჯილდოს 500 (ხუთასი) ლარის, მე-2 ადგილზე გასული - 300 (სამასი) ლარის, ხოლო მე-3 ადგილზე - 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

სამეცნიერო ლიტერატურის ციტირების სტანდარტი

წიგნი, რომელსაც ერთი ავტორი ჰყავს უნდა მიეთითოს: ავტორის გვარი, სახელის ინიციალი, წიგნის სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი, შესაბამისი გვერდი (გვ. - შემოკლების გარეშე). მაგალითად:

დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, 2011, 525.

Bogdanor V., What is Proportional Representation? A Guide to the Issues, Oxford, 1984, 149.

წიგნი, რომელსაც რამდენიმე ავტორი ჰყავს, მაგრამ არ ჰყავს სამეცნიერო რედაქტორი, უნდა მიეთითოს: ავტორების გვარი, სახელების ინიციალი, წიგნის სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი, შესაბამისი გვერდი (გვ. - შემოკლების გარეშე). მაგალითად:

გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭიღლაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 108.

წიგნი, რომელსაც რამდენიმე ავტორი ჰყავს და, ასევე, სამეცნიერო რედაქტორი, უნდა მიეთითოს: ავტორ(ებ)ის გვარი, სახელ(ებ)ის ინიციალი, წიგნის სახელწოდება, სამეცნიერო რედაქტორის სახელის ინიციალი და გვარი, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი, შესაბამისი გვერდი (გვ. - შემოკლების გარეშე). შესაძლოა მიეთითოს კონკრეტული ავტორის გვარი და სახელის ინიციალი, რომელსაც ეკუთვნის წიგნის შესაბამისი ნაწილი. ასევე, მხოლოდ სამეცნიერო რედაქტორიც. მაგალითად:

გოცირიძე ე., წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, *პ. ტურავას* რედაქტორობით, თბილისი, 2013, 60.

კონსტიტუციური სამართალი, *ა. დემეტრაშვილის* რედაქტორობით, თბილისი, 2005, 210.

Mö-llers Ch., "We are (afraid of) the people": Constituent Power in German Constitutionalism, in: The Paradox of Constitutionalism: Constituent Power and Constitutional form, Edited by ***M. Loughlin*** and ***N. Walker***, Oxford, 2008, 89.

Конституция Российской Федерации: доктринальный комментарий (постатейный), Под редакцией ***Ю. А. Дмитриева***, Москва, 2009, 171.

Комментарий к Конституции Российской Федерации, Под редакцией ***В. Д. Зоркина*** и ***Л. В. Лазарева***, Москва, 2010, 471.

სტატია, რომელიც გამოქვეყნებული კრებულში უნდა მიეთითოს: სტატიის ავტორის გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის დასახელება, კრებულის სახელწოდება, სამეცნიერო რედაქტორის სახელის ინიციალი და გვარი, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი, შესაბამისი გვერდი (გვ. - შემოკლების გარეშე). მაგალითად:

გარიშვილი მ., სასჯელი რომისა და ძველ ქართულ სამართალში, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, *გ. ფერაძის* რედაქტორობით, წიგნი I, თბილისი, 2010, 253.

სტატია, რომელიც გამოქვეყნებული სამეცნიერო ჟურნალში უნდა მიეთითოს: სტატიის ავტორის გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის დასახელება, პერიოდული გამოცემის (ჟურნალის) სახელწოდება, გამოცემის ნომერი, გამოცემის წელი, შესაბამისი გვერდი (გვ. - შემოკლების გარეშე). მაგალითად:

ონიანი ს., უკიდურესი აუცილებლობა, როგორც სახარებისეული ტელეოლოგიური განმარტების ფორმულის - „შაბათი კაცისათვის და არა კაცი შაბათისათვის“ - ანარეკლი სჯულის კანონში, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, №2, 2011, 8.

ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნალი ,,ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 10, №1, 2007, 14-58.

Norris P., Choosing Electoral Systems: Proportional, Majoritarian and Mixed Systems, International Political Science Review, Volume 18, No. 3, 1997, 304.

ნათარგმნი ლიტერატურის ციტირებისას უნდა მიეთითოს: ავტორის გვარი და სახელის ინიციალი, ნაშრომის დასახელება, მთარგმნელის სახელის ინიციალი და გვარი, სამეცნიერო რედაქტორის სახელის ინიციალი და გვერი (არსებობის შემთხვევაში), გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი, შესაბამისი გვერდი (გვ. - შემოკლების გარეშე). მაგალითად:

ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, *ე. სუმბათაშვილის* თარგმანი, *თ. ნინიძის* რედაქტორობით, თბილისი, 2001, 55.

ელექტრონული წყაროს ციტირებისას უნდა მიეთითოს: ნაშრომის ავტორის გვარი და სახელის ინიციალი (არსებობის შემთხვევაში), ნაშრომის დასახელება, გამოქვეყნების დრო, შესაბამის ლინკი სამკუთხა ფრჩხილებში, ნახვის თარიღი ოთკუთხა ფრჩხილებში. მაგალითად:

How to rig an election, Weighing the votes, Mar 3, 2012. იხ. <http://www.economist.com/node/21548946> [20.09.2013].

მენაბდე ვ., ერთი ადამიანი, ერთი ხმა, ერთი წონა. იხ. <http://blogs.liberali.ge/ge/blog/1631/112154/> [19.09.2013].

მეორადი ლიტერატურის ციტირების შემთხვევაში პირველად ეთითება ლიტერატურა, რომელსაც თქვენ გაეცანით, შემდეგ კი ამ ნაშრომში ციტირებული ლიტერატურა.

Krefschmer, in Schmitdt – Bleibtreu/Hofmann/Hopfauf (Hrsg.) GG, 12 Aufl. 2011, Art. 40 Rdnr. 37. მითითებულია: ***Dolzer/Kahl/Waldhoff/Bonner***, Kommentar zum Grundgezetz, C. F. M□ller, 2011, 53.

სასამართლო გადაწყვეტილებების/განჩინებების/საოქმო ჩანაწერების/სარჩელის მითითება:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, §5.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 4 აპრილის №1/1/547 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 7 აპრილის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, იხ. <http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=6&info_id=1344#> [11.04.2014]. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 12 თებერვლის №ას-691-1021-07 გადაწყვეტილება. Case of Margu□ v. Croatia, no. 4455/10, 13/11/2012, §67. Oregon v. Kennedy, 456 U.S. 667 (1982). **სამართლებრივი აქტის ციტირებისას უნდა მიეთითოს მისი სახელწოდება და მიმღები ორგანო (პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გარდა) სრულად, შესაბამისი მუხლი და ა.შ. მაგალითად:** საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-12 მუხლის მე-11 ნაწილი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №668 დადგენილების „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.
შენიშვნა: 1. სქოლიოში ერთხელ გამოყენების შემდეგ, როდესაც მეორდება იგივე წყარო, შეგიძლიათ მიუთითოთ – *იქვე* (იტალიკით), და შემდეგ შესაბამისი გვერდის ნომერი. 2. ქართული ტექსტისათვის უნდა გამოიყენოთ ე.წ. ქვედა და ზედა ბრჭყალები („...“), ხოლო უცხოენოვანი ტექსტისათვის კი - ზედა ბრჭყალები (“...”). 3. ყოველი ახალი მითითებისას გამოყენებული წყარო მიუთითეთ სრულყოფილად. ***არ გამოიყენოთ*** შემდეგი აღნიშვნები - დასახ. ნაშრომი, ან მითითებული ნაშრომი.

შეფასების ფურცელი

სტუდენტის სახელი, გვარი ----------
---------- უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის/სკოლის სამართლის საბაკალავრო პროგრამის ----------კურსის სტუდენტი
სტუდენტის მიერ მიღებული ქულების ჯამური (კონკურსის ორივე ეტაპი) რაოდენობა ---------- ქულა

I. წერილობითი სახით წარმოდგენილი მოხსენების შეფასება		მაქსიმალური ქულა 60	სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება ---------- ქულა
ა)	აკადემიური წერის სტანდარტების დაცვა; მოხსენებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა; ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა	მაქს. 15 ქულა	
ბ)	დასმული პრობლემის აქტუალობა და კვლევის შედეგების სიახლე; კვლევისა და ანალიზის უნარი; ფაქტობრივი მასალის ფლობა; არგუმენტირებისა და დასკვნის უნარი	მაქს. 45 ქულა	
II. მოხსენებით კონფერენციაზე გამოსვლა (ფასდება კონფერენციაზე)		**მაქსიმალური ქულა 40**	**სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება** ---------- ქულა
1. პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე			
ა)	მსჯელობა, ანალიზი და არგუმენტირება; აუდიტორიის შეკითხვებზე პასუხების გაცემა	მაქს. 30 ქულა	
ბ)	რეგლამენტი; ვიზუალური მასალა	მაქს. 10 ქულა	